

დამტკიცებულია
საქართველოს პოლიტიკური
მოძრაობის „მამული, ენა,
სარწმუნოება“ 2013 წლის
14 ივლისის მეცხრე
რიგგარეშე ყრილობის მიერ.

რეგისტრირებულია
ცვლილებებით საჯარო
რეესტრის ეროვნული
სამსახურის 2013 წლის 16 ივლისის
გადაწყვეტილებით.



საქართველოს პოლიტიკური პარტია

„მამული, ენა, სარწმუნოება“

წესდება

სახელწოდება

1. ქართულ ენაზე პარტიის სრული სახელწოდებაა საქართველოს პოლიტიკური პარტია „მამული, ენა, სარწმუნოება“, შემოკლებული დასახელება „მესა“.
2. ინგლისურ ენაზე პარტიის სრული სახელწოდებაა POLITICAL PARTY OF GEORGIA „Mamuli, ena, sartsmunoeba“, შემოკლებული დასახელება 'MESA'

1. იურიდიული სტატუსი

საქართველოს პოლიტიკური პარტია „მამული, ენა, სარწმუნოება“ (შემდგომ ტექსტში პარტია) არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. პარტია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. იურიდიული მისამართი

პარტიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, აბესაძის ქ. №8
ტელ: 599 68 65 98 E-mail: MESA XACHIDZE@gmail.com

3. პარტიის საქმიანობის მიზნები, ამოცანები და მათი განხორციელების ფორმები

1. ქართველი ერის გაერთიანება.
2. ქართული სახელმწიფოს აღორძინება.
3. საქართველოს სრული დამოუკიდებლობა.
4. ეროვნული მსოფლმხედველობისა და ტრადიციების განმტკიცება და დაცვა.



5. ქვეყანაში ღია დემოკრატიული საზოგადოებას ჩამოყალიბება.

4. 3. პარტიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ფორმები:

- ა) ყველა დონისა და სახის არჩევნებში მონაწილეობა;
- ბ) პოლიტიკური პარტინიორობა კოალიციის, ალიანსისა თუ სხვა სახით;
- გ) კანონით დაშვებული სხვა ფორმები.

5. პარტიის წევრობა

5. 1. პარტიის წევრი შეიძლება გახდეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც სურს პარტიის წევრობა, თუკი პარტიაში მის გაწევრიანებას მხარს დაუჭერს პარტიის იმ ორგანოს წევრთა უბრალო უმრავლესობა, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება პარტიაში გაწევრიანების საკითხი. პარტიის წევრი იმაგდროულად არ შეიძლება იყოს სხვა პარტიის წევრი.

5. 2. მოქალაქის პარტიაში გაწევრიანება პარტიის ტერიტორიული სტრუქტურული ქვედანაყოფების, რაიონული ორგანიზაციების ბიუროების კომპეტენციაა, რომლებიც საჭიროებისამებრ იქმნებიან ამ წესდებით გათვალისწინებული წესით და მათი ადგილსამყოფელი შეიარჩევს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად. რაიონული ორგანიზაციის არარსებობისას პარტიაში გაწევრიანება საქალაქო ორგანიზაციის ბიუროს კომპეტენციაა. თუ არ არსებობს არც რაიონული, არც საქალაქო ორგანიზაცია, მაშინ პარტიაში გაწევრიანება პარტიის კომიტეტის კომპეტენციაა.

5. 3. პარტიაში გაწევრიანების მსურველმა, საცხოვრებელი ადგილის მისედვით, განცხადებით უნდა მიმართოს პარტიის იმ ორგანოს, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება პარტიაში გაწევრიანების საკითხი. პარტიის ორგანომ, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება პარტიაში გაწევრიანების საკითხი, ერთი კვირის ვადაში უნდა განისილოს აღნიშნული განცხადება, საჭიროებისამებრ გაესაუბროს პარტიაში გაწევრიანების მსურველს და კენჭი უყაროს მის პარტიაში გაწევრიანებას. კენჭისყრა ფარულია და მას არ ესწრება პარტიაში გაწევრიანების მსურველი. პარტიის ორგანო, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება პარტიაში გაწევრიანების საკითხი, არ ასაბუთებს და არ განმარტავს უარს პარტიაში გაწევრიანებაზე.

5. 4. პარტიის ნებისმიერ წევრს აქვს პარტიიდან თავისუფალი გასვლის უფლება. ამასთან, წევრი ითვლება პარტიიდან გასულად, როგორც კი პარტიის ორგანო, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება პარტიაში გაწევრიანების საკითხი, მიიღებს მის წერილობით განცხადებას პარტიიდან გასვლის შესახებ.

5. 5. პარტიული პასუხისმგებლობის დაკისრების (სასჯელის დადების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და პასუხისმგებლობის სახეს განსაზღვრავს პარტიის კომიტეტი. პარტიის კომიტეტმა შეიძლება გარიცხოს წევრი პარტიიდან ამ წესდების მოთხოვნების დარღვევისათვის, პარტიის ღირსებისა და რეპუტაციის შელახვისათვის, პარტიისადმი სხვა სახის ზიანის მიყენებისათვის.

5. 6. სხვა პოლიტიკურ გაერთიანებაში შესვლის, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, პარტიის წევრს უნდა შეუწყდეს პარტიის წევრობა.

5. 7. პარტიის ყველა წევრი თანასწორუფლებიანია. პარტიის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში კანონით, ამ წესდებითა და პარტიის ყრილობისა თუ პარტიის ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

5. 8. პარტიის წევრი ვალდებულია დაიცვას კანონის, ამ წესდებისა და პარტიის ყრილობისა თუ პარტიის ორგანოების მოთხოვნები.

6. პარტიის ორგანოები და ორგანიზაციული სტრუქტურა

6. 1. პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა პარტიის წევრთა ყრილობა. პარტიას ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე, პარტიის აღმასრულებელი ორგანოა კომიტეტი, პარტიის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია.

6. 2. საჭიროებისამებრ პარტია ქმნის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს საქართველოს ადმინისტრაციული ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად.

6. 3. სრულყოფილი ქვედანაყოფები იქმნება პარტიის კომიტეტის გადაწყვეტილებით.

6. 4. სტრუქტურული ქვედანაყოფები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ პარტიის კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

7. პარტიის ყრილობა

7. 1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი ორგანოა პარტიის წევრთა ყრილობა (შემდგომში „ყრილობად“ წოდებული).

7. 2. ყრილობაში მონაწილეობის უფლება აქვთ პარტიის სტრუქტურული ერთეულების მიერ არჩეულ წარმომადგენლებს – დელეგატებს; დელეგატების არჩევის წესს და თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ ასარჩევი დელეგატების რაოდენობას ადგენს პარტიის კომიტეტი ისე, რომ არჩეული იქნეს არანაკლებ 200 დელეგატისა.

7. 3. ყრილობას იწვევს პარტიის თავმჯდომარე ოთხ წელიწადში ერთხელ. პარტიის თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა. ყრილობის მოწვევის თარიღი, ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი ფორმდება პარტიის თავმჯდომარის ბრძანებით. ყრილობის მოწვევის თარიღი, ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნდეს პარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სულ მცირე ყრილობამდე ერთი თვით ადრე მაინც, თუ მოწვევის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარტიის ვებ-გვერდზე შეუძლებელია, მაშინ დელეგატებს უნდა ეცნობოთ წერილობით, ან პარტიის ბეჭდვით ორგანოში, ანდა სხვა ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით, სულ მცირე ერთი თვით ადრე მაინც.

7. 4. პარტიის თავმჯდომარის თანხმობის გარეშე რიგგარეშე საგანგებო ყრილობის მოწვევის უფლება აქვს:

ა) პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის სულ მცირე ერთ მესამედს, რომლებიც წერილობით მიმართავენ პარტიის სამდივნოს საგანგებო (რიგგარეშე) ყრილობის მოწვევის მოთხოვნით, ხოლო სამდივნო ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

ბ) პარტიის სამდივნოს, მასში შემაჯავლი პირების ორი მესამედის მოთხოვნით.

გ) სარევიზიო კომისიას, მასში შემაჯავლი პირების ორი მესამედის მოთხოვნით.

7. 5. რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში. ინფორმაცია რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ, ყრილობის ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი ქვეყნდება ამ წესდების 7. 3. მუხლით დადგენილი წესით.

7. 6. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ ორასი დელეგატისა. თუ ამ წესდებითა და კანონით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ყრილობას ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე, ასევე ყრილობის ოქმს ხელს აწერს პარტიის თავმჯდომარე. ყრილობას ესწრება ნოტარიუსი, რომელიც ადასტურებს, რომ ოქმის ტექსტი შეესაბამება ყრილობაზე მომხდარ მოვლენებსა და ფაქტებს.

7. 7. პარტიის თავმჯდომარემ უნდა შესთავაზოს ყრილობას დღის წესრიგი და კენჭი უყაროს მას. პარტიის თავმჯდომარე ვალდებულია კენჭისყრაზე დააყენოს ნებისმიერი საკითხი, რომლის დღის წესრიგში შეტანას მოითხოვს სარევიზიო კომისია, კომიტეტის ან ყრილობაზე დამსწრე დელეგატთა ერთი მესუთედი. ყრილობამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგის ამა თუ იმ საკითხზე ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ. ყრილობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც შევიდა ყრილობის მიერ დამტკიცებულ დღის წესრიგში.

7. 8. ყრილობის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა:

ა) პარტიის წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატების შეტანა.

ბ) პარტიის თავმჯდომარის, პარტიის კომიტეტის წევრებისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა, მათი მუშაობის შეფასება და გადაყენება.

გ) პარტიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა;

დ) ამ წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

8. პარტიის თავმჯდომარე

8. 1. პარტიის მეთაურია პარტიის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს ყრილობა პარტიის წევრებიდან ოთხი წლის ვადით.

8. 2. პარტიის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს პარტიას და მოქმედებს მისი სახელით საქართველოსა და უცხოეთის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებთან. სხვა პარტიის ლიდერებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა თუ წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან თუ კერძო პირებთან მოლაპარაკებისას. ხელს აწერს

პოლიტიკურ დეკლარაციებს, მემორანდუმებს, პოლიტიკური პარტნიორობის შესახებ შეთანხმებებსა და სხვა პოლიტიკურ დოკუმენტებს;

ბ) კოორდინაციას უწევს გენერალური მდივნის მუშაობას;

გ) უზრუნველყოფს პარტიის მოქმედების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას, საჭიროებისამებრ რთავს ამ პროცესში კომიტეტს;

დ) ახორციელებს ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

9. პარტიის აღმასრულებელი ორგანო

9. 1. პარტიის აღმასრულებელი ორგანოა მთავარი კომიტეტი. კომიტეტი შედგება 9 წევრისაგან. კომიტეტის წევრებს ირჩევს ყრილობა პარტიის წევრებიდან ოთხი წლის ვადით. კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომიტეტის გენერალურ მდივანს. კომიტეტის გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს კომიტეტის მუშაობას.

9. 2. კომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება კომიტეტის სხდომებზე. ინფორმაცია კომიტეტის სხდომის ჩატარების თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან კომიტეტის წევრებს წერილობით ეცნობოთ სხდომაზე ერთი კვირით ადრე მანც. კომიტეტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, თუ ამ წესდებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული. კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბარი რაოდენობისას გადაწყვეტია გენერალური მდივნის ხმა.

9. 3. გენერალური მდივანი კომიტეტის წევრთა უმრავლესობის მთხოვნით ვალდებულია კომიტეტის სხდომა მოიწვიოს მთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტის წევრთა უმრავლესობა დამოუკიდებლად მართავს კომიტეტის საგანგებო სხდომას.

9. 4. კომიტეტის სხდომები და მათზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრები. ამასთან, თუ რომელიმე მათგანი უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ეს ფაქტი უნდა დაფიქსირდეს სხდომის ოქმში.

9. 5. კომიტეტი

ა) უზრუნველყოფს პარტიის მოქმედების სტრატეგიისა და ტაქტიკის სორცშესხმასა და განხორციელებას. გეგმავს და უზრუნველყოფს სამუშაოების შესრულებას პარტიის საქმიანობის მიმართულების ფარგლებში, პარტიის მიზნების მისაღწევად და პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად.

ბ) პარტიის თავმჯდომარის თანხმობით ქმნის და აუქმებს პარტიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ფილიალებს და წარმომადგენლობებს, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად, აგრეთვე შემუშავებს და ამტკიცებს მათი საქმიანობისათვის საჭირო დოკუმენტებს.

გ) ამტკიცებს პარტიის ყოველწლიურ ბიუჯეტს, განსაზღვრავს საწევრო შენატანის ოდენობას და გადახდის წესს, ადგენს, ამტკიცებს და ცვლის პარტიის საშტატო განრიგს, ქმნის და აუქმებს სამუშაო ჯგუფებს და განსაზღვრავს მათ შემადგენლობას.

იღებს გადაწყვეტილებებს გარიგებების, ხელშეკრულებების, პარტიის ყოველგვარი ქონებისა და ფინანსური სახსრების განკარგვის თაობაზე.

დ) უზრუნველყოფს პარტიის ოფიციალური გეზგვერდის ფუნქციონირებას.

ე) ასორციელებს ამ წესდებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

9. 6. გენერალური მდივანი

ა) ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობას, აკონტროლებს მიმდინარე სამუშაოებს, უზრუნველყოფს შრომის დაცვის, უსაფრთხოებისა და სხვა მოთხოვნების დაცვას.

ბ) თავმჯდომარის დაფალებით (აქტის საფუძველზე) მოქმედებს პარტიის სახელით.

გ) თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

დ) ასორციელებს ამ წესდებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

9. 7. კომიტეტი ანგარიშგაღებულთა ყრილობისა და პარტიის თავმჯდომარის წინაშე.

10. პარტიის მაკონტროლებელი ორგანო

10. 1. პარტიის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია. სარევიზიო კომისია შედგება ოთხი წევრისაგან. სარევიზიო კომისიის წევრებს ირჩევს ყრილობა პარტიის წევრებიდან ოთხი წლის ვადით. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს.

10. 2. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრიც. სარევიზიო კომისიის წევრს არ შეიძლება ეკავოს პარტიის რომელიმე ხელმძღვანელი თანამდებობა.

10. 3. სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება მის სხდომებზე. ინფორმაცია კომისიის სხდომის ჩატარების თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ კომისიის წევრებს წერილობით ეცნობოთ სხდომამდე ერთი კვირით ადრე მაინც; სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. თუ ამ წესდებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბარი რაოდენობისას გამამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10. 4. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს კომისიის სხდომა კომისიის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიის წევრთა უმრავლესობა დამოუკიდებლად მართავს კომისიის საგანგებო სხდომას.

10. 5. სარევიზიო კომისიის სხდომები და მათზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები,

ამასთან, თუ რომელიმე მათგანი უარს აცხადებს რქმის ხელმოწერაზე, ეს ფაქტი უნდა დაფიქსირდეს სხდომის ოქმში.

10. 6. სარევიზიო კომისია:

ა) ყოველწლიურად ატარებს პარტიის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და მდგომარეობის კონტროლს, ახდენს პარტიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის რევიზიას;

ბ) კონტროლს უწევს პარტიის წევრების მიერ ამ წესდების მოთხოვნების დაცვას;

გ) ასორციელებს ამ წესდებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

10. 7. სარევიზიო კომისია ანგარიშგაღებულა ყრილობის წინაშე.

11. ზოგადი და სპეციალური წარმომადგენლობა

პარტიის თავმჯდომარე სარეგბლობს პარტიის ზოგად და სპეციალური წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით ამ წესდებითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. პარტიის გენერალური მდივანი უფლებამოსილია სპეციალური წარმომადგენლობაზე ამ წესდების 9. 6. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის. ფარგლებში.

12. პარტიის ქონების შექმნის წყაროები და გამოყენების წესი

პარტიის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, კანონის შესაბამისად მიღებული შემოწირულობებისა და კანონით დაშვებული სხვა წყაროების საფუძველზე. პარტიის ქონება გამოიყენება პარტიის კომიტეტის მიერ დადგენილი და კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. კრედიტორების მოთხოვნები კმაყოფილდება პარტიის ქონებიდან.

13. ამ წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატივით ყრილობას შეიძლება მიმართოს პარტიის თავმჯდომარე, სარევიზიო კომისიამ, გენერალურმა მდივანმა. პარტიის 300 წევრს უფლება აქვს წერილობით მიმართოს პარტიის კომიტეტს წესდებაში ცვლილებების შეტანის წინადადებით, ხოლო კომიტეტი ვალდებულია მოამზადოს საკითხი ყრილობაზე გასატანად.

14. პარტიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ყრილობამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, თუ ამოწურულად მიაჩნია პარტიის შესაძლებლობები ან სხვა მიზეზის საფუძველზე, გადაწყვეტილებას პარტიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ მიღებულია, თუ მას მხარს უჭერს ყრილობის დელეგატთა ცხრა მეათედი. პარტიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციისას პარტიის ქონება გადაწვეტილება კანონის შესაბამისად.

15. სიმბოლიკა

1. პარტიის ემბლემა:

ორი უქარქაშო გადაჯვარედინებული ვერცხლისფერი ხმლის ფონზე გამოსახული შინდისფერი ბოლნური ჯვარი ვერცხლისფერი კონტურებით. ჯვარის შუაგულში გასწიფოსნებული ოქროსფერი, მზის დისკოში ცხენზე ამხედრებული, ურჩხულთან მებრძოლი წმინდა გიორგის გამოსახულება შინდის ფერში.

2. პარტიის ბეჭედი:

არის მრგვალი ფორმის, რომლის ცენტრში გამოსახულია პარტიის ემბლემა, ხოლო წრიულად პარტიის სრული დასახელება ქართულ და ინგლისურ ენაზე.

3. პარტიის სატიტულო ფურცელი:

წარმოადგენს A-4 ტიპის ქაღალდის ფურცელს, რომლის ზედა მარცხენა კუთხეში მოცემულია პარტიის სრული სახელწოდება ქართულ, ხოლო მარჯვენა კუთხეში ინგლისურ ენებზე. სახელწოდებებს შორის განთავსებულია პარტიის ემბლემა. ემბლემისა და სახელწოდების ქვეშ მოვლ სივრძეზე მითითებულია პარტიის იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი და ვებ-გვერდის მისამართი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს პოლიტიკური პარტიის

„მამული, ენა, სარწმუნოება“ თავმჯდომარე

ზაურ ხაჩიძე